

განმარტებითი ბარათი
„წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და
დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონპროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

„წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონში მოცემული ცვლილებები და დამატებები განპირობებულია ორი მიზეზით;

1. რათა იმ საწარმოებს, რომლებიც თავიდანვე ჩამოყალიბებული არიან როგორც ერთობლიობა და განუყოფელი ნაწილები ბუნებრივი ნედლეულისა და მისი დამუშავებისა, უკვე მოქმედი ლიცენზიის გაგრძელებისას ან მოდიფიცირებისას არ შეექმნათ მნიშვნელოვანი პრობლემები საქმიანობაში, რადგან მათ აღარ ექნებათ უპირატესი უფლება წიაღით სარგებლობის უფლების გაგრძელებისა.

აუქციონის გარეშე აღებული იმ ლიცენზიის მფლობელების, რომლებსაც საქმიანობის პროცესში არ დაურღვევიათ ლიცენზიის პირობები, მნიშვნელოვანი თანხები აქვთ შეტანილი სახელმწიფო ბიუჯეტში ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლის სახით და აქვთ განვითარებული ბიზნესი, დაცვის სამართლებრივი მექანიზმების გაუქმების მიზამშეუწონლობის შესახებ მითითებულია საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის სხდომის დასკვნაში, რომელიც „წიაღის შესახებ“ კანონში ადრე უკვე მიღებული ცვლილების განხილვას მიეძღვნა.

2. ვინაიდან „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს მოქმედი კანონის 39-ე მუხლით „სარგებლობის ლიცენზიების გარდამავალი რეგულირება“ განსაზღვრულია, რომ:

1. ამ კანონის ამოქმედებამდე კონკრეტულ საქმიანობაზე გაცემული ლიცენზია, რომელზედაც ამ კანონის თანახმად გაიცემა სარგებლობის ლიცენზია, ინარჩუნებს იურიდიულ ძალას შესაბამისი ვადის განმავლობაში, აუცილებელია, რომ „წიაღის შესახებ“ კანონში განსაზღვრული იყოს მუხლები, რომლებიც თანაბარ პირობებში ჩააყენებენ წიაღით სარგებლობის ლიცენზიების ყველა მფლობელს მიუხედავად იმისა, ასეთი ლიცენზია აღებულია აუქციონის წესით, თუ ეს ლიცენზია აღებულია „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონის ამოქმედებამდე, როგორც ამას განმარტავს ზემოთმოყვანილი 39-ე მუხლის პირველი პუნქტი.

ზემოთაღნიშნული კანონი არ ყოფს სარგებლობის ლიცენზიებს იმის მიხედვით, ასეთი ლიცენზია აღებულია აუქციონის წესით, თუ ეს ლიცენზია აღებულია „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონის ამოქმედებამდე, ის მათ ერთნაირ სამართლებრივ რეჟიმში აქცევს. ამის უზრუნველსაყოფად არის მოწოდებული „წიაღის შესახებ“ კანონში ზემოთმოცემული ცვლილებები, მით უმეტეს რომ წიაღით სარგებლობის ლიცენზიების „სრულუფლებიანი“ და „არასრულუფლებიანი“ რანგის ლიცენზიებად დაყოფის ცდუნება და ფინანსური ინტერესი ლიცენზიების გამცემის მიერ შესაძლებელია რომ არსებობდეს.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

წარმოდგენილი კანონპროექტი სწორედ ისეთი ცვლილებებისა და დამატებების შეტანას ითვალისწინებს „წიაღის შესახებ“ კანონში, რომლებიც ყველა მოქმედ წიაღით სარგებლობის ლიცენზიას „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ ერთნაირ სამართლებრივ რეჟიმში მოაქცევს.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

„წიალის შესახებ“ კანონში განსაზღვრული ცვლილებები და დამატებები თანაბარ პირობებში ჩააყენებენ წიალით სარგებლობის ლიცენზიების ყველა მფლობელს მიუხედავად იმისა, ასეთი ლიცენზია აღებულია აუქციონის წესით, თუ ეს ლიცენზია აღებულია „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონის ამოქმედებამდე, როგორც ამას მოითხოვს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონის 39-ე მუხლი. აუქციონის გარეშე აღებული იმ ლიცენზიის მფლობელებს, რომლებსაც საქმიანობის პროცესში არ დაურღვევიათ ლიცენზიის პირობები, მნიშვნელოვანი თანხები აქვთ შეტანილი სახელმწიფო ბიუჯეტში ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლის სახით და აქვთ განვითარებული ბიზნესი, თავიდანვე ჩამოყალიბებული არიან როგორც ერთობლიობა და განუყოფელი ნაწილები ბუნებრივი ნედლეულისა და მისი დამუშავებისა, უკვე მოქმედი ლიცენზიის გაგრძელებისას ან მოდიფიცირებისას არ შეექმნებათ მნიშვნელოვანი პრობლემები საქმიანობაში, რადგან მათ ექნებათ საშუალება წიალით სარგებლობის უფლებისა და ბიზნესის გაგრძელებისა.

ამას უზრუნველყოფს „წიალის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის ახალი რედაქცია და 54-ე მუხლზე მე-10 პუნქტის დამატება.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დახასიათება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:
კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:
კანონპროექტის მიღება მიმდინარე წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენს, ვინაიდან კონკურსით მიღებული თანხები მასში გაწერილი არ არის, ხოლო მომავალი წლის ბიუჯეტში შესაძლებელია ამ გავლენის თავიდანვე გათვალისწინება.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:
კანონპროექტის მიღება გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:
კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღების შედეგად „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონის ამოქმედებამდე აღებული წიალით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელებს აღარ შეექმნებათ მნიშვნელოვანი პრობლემები ბიზნესის გაგრძელებისათვის.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტით არ დგინდება ახალი სახის გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის მოთხოვნებთან:
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის მოთხოვნებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:
კანონპროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ.) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა კანონპროექტის შემუშავებაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
კანონპროექტის შემუშავებაში ამ პუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი: პარლამენტის წევრი რამაზ თედორაძე

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი: პარლამენტის წევრი რამაზ თედორაძე